წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25
2014 წლის 24 ივლისი

ქ. წალკა

წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ე“ ქვეპუნქტისა და წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1
დამტკიცდეს წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობრივი სარგოები დანართის შესაბამისად.
მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

წალკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი გიგინეიშვილი**

დანართი

წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები

№	**თანამდებობის დასახელება**	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
1	გამგებელი	2650
2	გამგებლის პირველი მოადგილე (მოადგილეები)	1300
3	გამგეობის სამსახურის უფროსი	1000
4	გამგებლის სამსახურის განყოფილების უფროსი	810
5	გამგებლის წარმომადგენელი	800
6	გამგებლის თანაშემწე	790
7	მთავარი სპეციალისტი	560
8	წამყვანი სპეციალისტი	530
9	უფროსი სპეციალისტი	500